საკონტროლო სალარო აპარატი Compact M-ის ჩართვა

სალარო აპარატის ჩასართავად კლავიატურის მარცხენა ზედა კუთხეში, რამდენიმე წამის განმავლობაში დააჭირეთ ჩართვის ღილაკს.

შეცდომით ამობეჭდილი ქვითრის და/ან უკან დაბრუნებული ქვითრის გაუქმება

როდესაც სალარო აპარატის ჩეკში შეცდომით ამოიბეჭდება არასწორი თანხა, RS.GE პორტალზე უნდა შეივსოს განაცხადი, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს როგორც მოლარეოპერატორმა, ასევე მოლარე ოპერატორზე სამსახურეობრივი ზედამხედველობის განმახორციელებელმა პირმა. ამასთან შეცდომით ამობეჭდილი ჩეკი ან ჩეკის ასლი უნდა დაერთოს ამ აქტს. ასეთივე აქტი ორ ეგზემპლარად დგება იმ შემთხვევაშიც. როცა მომხმარებლის მიერ ჩეკის საფუძველზე ხდება ნაყიდი საქონლის დაბრუნება და ამასთან, დაუბრუნოს მომხარებელს მასში გადახდილი თანხა. ამ შემთხვევაში , ზემოაღნიშნული პირების გარდა, აქტს ხელი უნდა მოაწეროს მომხარებელმაც, რომელსაც უნდა გადაეცეს აქტის ერთი ეგზემპლარი.

მოლარე-ოპერატორთან დარჩენილ აქტს უნდა დაერთოს მომხმარებლის მიერ დაბრუნებული ჩეკი ან ჩეკის ასლი; თუ ასეთი შემთხვევის დროს გნებავთ სალარო აპარატში დააფიქსიროთ ნავაჭრი თანხის კორექტირება , აკრიფეთ დასაბრუნებელი ან შეცდომით ამობეჭდილი თანხა, დააჭირეთ ღილაკს [-%]. ეს ოპერაცია უნდა შესრულდეს Z ანგარიშის ამობეჭვდვამდე.

სალარო აპარატის სამუშო რეჟიმში გადასვლა

სამუშაო რეჟიმში შესასვლელად კლავიატურაზე რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს $[{
m M}]$, იქამდე სანამ ეკრანზე არ დაეწერება [გაყიდვა.....]

აკრიფეთ მოლარის შესაბამისი პაროლი [1] და დააჭირეთ ღილაკს [CLK] ეკრანზე დაიწერება [0,00]

ქვითრის ამოსაბეჭდად კლავიატურაზე აკრიფეთ სასურველი თანხის ოდენობა და დააჭირეთ სექციის ღილაკს [01] ქვითარი დაიწყებს ამობეჭვდვას. მომხარებლისთვის ჩეკის ამოსაბეჭდად დააჭირეთ ღილაკს [TL]

მაგალითად 7 ლარი და 25 თეთრის გამოსაწერად აკრიფეთ:

[7] [,] [2] [5]----თანხა

[01] ----- სექციის ღილაკი

[TL] -----ამობეჭვდვა

თუ გსურთ ქვითარში რამდენიმე თანხის ჩაწერა, აკრიფეთ თანხა, მიუთითეთ სექცია [01], შემდეგ ისევ აკრიფეთ მომდევნო თანხა, მიუთიეთ სექცია და ა.შ.

ბოლოს დააჭირეთ ღილაკს [TL], საბოლოო ქვითრის ამოსაბეჭდად.

არასწორად შეყვანილი თანხის კორექტირება ან/და ქვითრის ანულირება

იმ შემთხვევაში,

თუ თანხა არასწორად არის აკრეფილი, წასაშლელად დააჭირეთ ღილაკს [C].

თუ აკრიფეთ თანხა, დააფიქსირეთ სექციაში და ჯერ არ დაგიხურავთ ქვითარი, დააჭირეთ ღილაკს [VD], რის შედეგადაც თანხა ანულირდება. საბოლოო ქვითრის ამოსაბეჭდად, დააჭირეთ ღილაკს [TL]

Z ანგარიშის ამოღება

გაითვალისწინეთ, რომ ყოველი სამუშო დღის ბოლოს სავალდებულოა ცვლის დახურვა(Z ანგარიშის ამობეჭდვა)

Z ანგარიშის ამოსაბეჭდად დააჭირეთ ღილაკს [M] იმდენჯერ, სანამ ეკრანზე არ გამოჩნდება წარწერა [Z ანგარიში......] აკრიფეთ პაროლი [9999], შემდეგ დააჭირეთ ღილაკს [CLK] ,შემდეგ ღილაკს [TL] და ამოიბეჭდება [Z] ანგარიშის ქვითარი.

გათიშული სალარო აპარატის გააქტიურება ან/და RS.GE პორტალზე მონაცემის ასახვა

ამ ოპერაციის განსახორციელებლად დააჭირეთ [M] ღილაკს იმდენჯერ, სანამ ეკრანზე [პროგრამირება.....] არ დაეწერება . შემდეგ აკრიფეთ პაროლი {9999] და დაადასტურეთ [CLK] ღილაკით. დაეწერება [PROGR], აკრიფეთ [1853] და დააჭირეთ ღილაკს [VD] და დაელოდეთ.

წარმატებით ჩართვის შემთხვევაში ეკრანზე დაეწერება "SUCCESSFUL" ამის შემდეგ შეძლებთ განაგრძოთ მუშაობა.

საათის გასწორება

ვაჭერთ ღილაკს $[\mathrm{M}]$, იმჯენჯერ სანამ ეკრანზე არ დაიწერება [პროგრამირება]

შემდეგ ვკრეფთ [9999] და ვაწერთ ღოლაკს [CLK]. შემდეგ ვაჭერთ ღილაკს [ALT] არ ვუშვებთ ხელს და ისე ვაჭერთ ღილაკს [QTY] .ეკრანზე აისახება თარიღი და საათი . გადავაწერთ სწორ დროს , მაგალითად ასე: 01052018 1505 და შემდეგ ვაჭერთ ღილაკს [TL].

დეტალურის ამოღება

[M] ღილაკს ვაჭერთ იმდენჯერ სანამ სალარო აპარატის ეკრანზე არ დაიწერება [x ანგარიში]. შემდეგ ვკრეფთ 9999 [CLK], შემდეგ ვაჭერთ ღილაკს [ALT] ისე რომ ხელს არ ვუშვებთ და გადავაჭერთ ღილაკს [TL]. ეკრანზე დაიწერება [ელ. ჟურნ. ბეჭვდვა]. ვაჭერთ ღილაკს 3 და შემდეგ [STL] დაიწერება საწყისი, შეგვყავს სასურველი თარიღი, რომელი რიცხვიდანაც გვსურს დეტალური ანგარიშის ამოღბა, მაგალითად :010518 ვაჭერთ ღილაკს [QTY] სალარო აპარატის ეკრანზე დაიწერება საბოლოო, შემდეგ შეგვყავს სასურველი თარიღი, მაგალითად 02,0518 და ვაჭერთ ღილაკს [VD].

ქვითრის დუბლიკატი.

ვაჭერთ ღილაკს [M], მანამ სანამ სალარო აპარატის ეკრანზე არ დაიწერება [გაყიდვა], შემდეგ ვკრებთ [9999], შემდეგ [CLK], ეკრანზე დაიწერება [00,0], ვკრებთ [99], [TL] ეკრანზე დაიწერება ბოლოს გამოწერილი ქვითრის ნომერი, ვკრებთ სასურველი ქვითრის ნომერს, მაგალითად 45, შემდეგ ვაჭერთ ღილაკს [TL]

თანხის აკრეფის შეზღუდვა

ვაჭერთ [M] იმდენჯერ სანამ ეკრანზე არ დაიწერება [PROGR] შემდეგ ვაჭერთ ღილაკს [01], და ვაწვებით ღილაკს [STL] სანამ არ დაიწერება { MAX DIGITS 9], მივუთითოთ სასურველი ციფრი (იხილეთ ცხრილი)

ციფი	_	3-ის	მითითების	შემთხვევაში	შეიზღუდება	9	ლარამდე
ციფრი	-	4-ob	მითითეზის	შემთხვევაში	შეიზღუდება	99	ლარამდე
ციფრი	-	5-ის	მითითეზის	შემთხვევაში	შეიზღუდება	999	ლარამდე
ციფრი –	6-ის მიი	იითეზის ზ	მემთხვევაში შეიზ	იღუდება 9999 ლარა	ამდე.		

შემდეგ ვაჭერთ ღილაკს [STL] და თანხის აკრეფა შეზღუდულია.

შენიშვნა:

იმ შემთხვევაში, თუ აპარატმა დაწერა:

"ქაღალდი გათავდა" - რულონი გამოილია, შეცვალეთ ახლით.

"შესრულდა 24 საათი"-24 საათზე მეტია რაც აპარატიდან არ ამობეჭდილა Z ანგარიში.

"არასწორი ღილაკი"- დააჭირეთ [C] ღილაკს.